*დანართი №1*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება**

შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლა

**შეფასების თარიღ(ებ)ი**
2022 წლის 28 და 29 ივნისი

**დასკვნის წარდგენის თარიღი**
2022 წლის 22 ივლისი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება | შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 202937983 |

| ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს: | |
|---|---|
| დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | არა |
| საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | არა |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ქალაქი თბილისი |
| იურიდიული მისამართი | ჭყონდიდელის 18 |
| ფაქტობრივი მისამართი | ჭყონდიდელის 18 |
| საფოსტო ინდექსი | 0180 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | www.gahs.edu.ge |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | gahs18@gmail.com |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 032 2 699014 |
| **ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)** | მამუკა მესხიშვილი |
| ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 555 669955; 597 995577 |
| ელ-ფოსტა | director@gahs.edu.ge |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი | „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს ქართულ-ამერიკულ უმაღლეს სკოლაში ვიზიტის შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 05 მაისი MES 2 22 0000455342 ბრძანება |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 2022 წლის 28 და 29 ივნისი |
| ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი) | მიხეილ ტეფნაძე |
| წევრი (სახელი, გვარი) | მარიამ ხუციშვილი |
| წევრი (სახელი, გვარი) | |
| წევრი (სახელი, გვარი) | |
| წევრი (სახელი, გვარი) | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## IV. ვიზიტის შეჯამება

### ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი/ქვესტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | მუხლი 6 | ☒ | ☐ |
| 1.1 | სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | მუხლი 6/ პუნქტი ა) | ☒ | ☐ |
| 1.2 | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | მუხლი 6/ პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 1.3 | სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | მუხლი 6/ პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 1.4 | სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | მუხლი 6 / პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 1.5 | შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | მუხლი 6 / პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 1.6 | შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | მუხლი 6 / პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |
| **2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | მუხლი 7 | ☒ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | მუხლი 7 / პუნქტი ა) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებკონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით | მუხლი 7/ პუნქტი ა.ა) | ☒ | ☐ |
| 2.1.2 | საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ) | ☒ | ☐ |
| 2.1.3 | სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.) | ☒ | ☐ |
| 2.1.4 | სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | მუხლი 7 / პუნქტი ა.დ) | ☒ | ☐ |
| 2.2. | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | მუხლი 7 / პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 2.3 | სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | მუხლი 7 / პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 2.4 | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | მუხლი 7 / პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 2.5 | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | მუხლი 7 / პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 2.6 | სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | მუხლი 7 / პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა) | ☒ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | მუხლი 7 / პუნქტი 3. გ) | ☒ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | მუხლი 7 / პუნქტი 3. დ) | ☒ | ☐ |
| 2.6.5 | კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | მუხლი 7 / პუნქტი 3. ე) | ☒ | ☐ |
| 2.7 | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | მუხლი 7/ პუნქტი ზ) | ☒ | ☐ |
| 2.8 | შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | მუხლი 7/ პუნქტი თ) | ☒ | ☐ |
| 2.9 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა | მუხლი 7/ პუნქტი ი) | ☒ | ☐ |
| **3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ☒ | ☐ |
| 3.1 | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | მუხლი 8 / პუნქტი ა) | ☒ | ☐ |
| 3.2 | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | მუხლი 8 / პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 3.3 | სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, | მუხლი 8 / პუნქტი გ) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | | | |
| 3.4 | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | **მუხლი 8/ პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 3.5 | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | **მუხლი 8/ პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 3.6 | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | **მუხლი 8/ პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | ............. |
| | *1.2.* | .............. |
| | | |
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *2.2.* | .............. |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი* | *ადამიანური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *3.1.* | |
| | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | .............. |
| | *1.2.* | ............... |
| | | |
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *2.1.* | ............... |
| | *2.2.* | |
| | | |
| *სტანდარტი* | *ადამიანური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *3.1.* | |
| | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| **საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი** | კვლევაზე ორიენტირებული ინტერაქტიული სასწავლო აქტივობები;<br>სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების ერთიანი ხედვა სასწავლო პროცესის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მიმართულებით;<br>მოსწავლის საჭიროებაზე ორიენტირებული მიდგომები;<br>სკოლის კურსდამთავრებულთა წარმატების მაჩვენებლები;<br>სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საგანმანათებლო პრინციპების შესაბამისად მოწყობა.<br>საერთაშორისო კონფერენციებში მოსწავლეთა წარმატებები. |

| | |
|---|---|
| **დაწესებულების მისია** | ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის მისიაა – აღზარდოს წიგნიერი და კრიტიკულად მოაზროვნე, შემოქმედებითი და მიზანდასახული, კომუნიკაბელური პიროვნება, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, საქართველოს ინტეგრაციას მსოფლიოში. |

## VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| **წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა** | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა: 1250 | ექსპერტი ეთანხმება ☒ | აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | ექსპერტი არ ეთანხმება ☐ | |

## X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

### 1. საგანმანათლებლო პროგრამები

| 1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | „შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის დირექტორის 2021 წლის 26 აგვისტოს N2 ბრძანებით დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმა (შემდეგში სასკოლო სასწავლო გეგმა) შედგება შემდეგი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ნაწილებისგან:<br>1. შესავალი;<br>2. ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის მისია;<br>3. სწავლისა და სწავლების ძირითადი პრინციპები და საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება;<br>4. ძირითადი მეთოდური ორიენტირები;<br>5. აკადემიური კალენდარი;<br>6. გაკვეთილების დაწყება-დასრულების გრაფიკი;<br>7. სასკოლო საათობრივი ბადე;<br>8. შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა;<br>9. დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება;<br>10. დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების მიზნები და ამოცანები;<br>11. ესგ-ით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება;<br>12. მზადება საერთაშორისო კონფერენციებისა და პროექტებისთვის;<br>13. გასვლითი ღონისძიებები;<br>14. ინკლუზიური განათლება;<br>15. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩო;<br>16. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგის ფორმა;<br>17. საგანმანათლებლო რესურსების ტიპები;<br>18. გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებისა და დამატებითი სახელმძღვანელოების ჩამონათვალი;<br>19. მატერიალური და ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები;<br>20. სადამრიგებლო პროგრამის კონცეფცია;<br>21. სადამრიგებლო მუშაობის პროგრამა კლასების მიხედვით;<br>22. საგნობრივი კათედრები;<br>23. საგნობრივი ჯგუფები;<br>24. საგნობრივი ჯგუფების სწავლების მიზნები;<br>25. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა;<br>26. მოსწავლის შეფასებისას გასათვალისწინებელი აუცილებელი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მიდგომები;<br>27. შეფასების კომპონენტები;<br>28. ქულების გამოანგარიშების წესი;<br>29. კლასისა და საფეხურის დამძლევი ქულები;<br>30. გამოცდის ტიპები;<br>31. დამატებითი მეცადინეობის გრაფიკი საგნების მიხედვით;<br>32. მშობლის ინფორმირების წესი;<br>33. სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესი და პირობები;<br>34. მოსწავლეთა რაოდენობა;<br>35. დასკვნითი დებულება.<br><br>წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებულია „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ და „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის 36/ნ ბრძანებების (შემდგომში ეროვნული სასწავლო გეგმა) მოთხოვნები, შეესაბამება მათ და ხელს შეუწყობს სკოლის მისიის მიღწევას.<br><br>გამომდინარე იქიდან, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას დასრულებული იყო 2021-2022 სასწავლო წელი, ჯგუფი დაინტერესდა 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის სავარაუდო შინაარსით. სკოლის ადმინისტრაციის წევრებთან ინტერვიუსა და 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასების ამსახველი დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლა 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გეგმავს შემდეგი ცვლილებების შეტანას:<br>1. მეორე უცხოურ ენად მე-5 კლასებში განისაზღვრა გერმანული ენა;<br>2. საშუალო საფეხურზე შევა ცვლილებები, ესგ-ში საგნობრივი სტანდარტების და გრიფირებული სახელმძღვანელოების ცვლილების შესაბამისად;<br>3. საათობრივი ბადის დაწყებითი, საბაზო და საშუალო |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საფეხურის საათობრივ ბადეში საჭიროებისამებრ შევა ცვლილებები ესგ-ის მოთხოვნებისა და სკოლის მისიით განსაზღვრული შედეგების მიღწევის მიზნით;<br>4. გაიზრდება კომპლექსური დავალებების ხვედრითი წილი შემაჯამებელი დავალებების ტიპებში;<br>5. სასწავლო პროცესის დაწყების სავარაუდო თარიღად განისაზღვრა 12 სექტემბერი;<br>6. საათობრივი ბადის პროექტი შესათანხმებლად გაიგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში;<br>7. სკოლა, მრავალწლიანი გამოცდილების მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახავს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამის ცვლილებებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • „შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის დირექტორის 2021 წლის 26 აგვისტოს N2 ბრძანება;<br>• ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის დაწყებითი სწავლების კათედრის 2021-2022 სასწავლო წლის მუშაობის შეჯამება;<br>• ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმით 2021-2022 სასწავლო წელს გათვალისწინებული შედეგების მიღწევის მაჩვენებელი გერმანული ენის კათედრაზე;<br>• ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის ინგლისური ენის კათედრის 2021-2022 სასწავლო წლის ანგარიში;<br>• ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის მათემატიკის კათედრის 2021-2022 სასწავლო წლის ანგარიში;<br>• ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის 2021-2022 სასწავლო წლის ანგარიში;<br>• ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის 2021-2022 სასწავლო წლის ანგარიში;<br>• ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის 2021-2022 სასწავლო წლის ანგარიში; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის სპორტის კათედრის 2021-2022 სასწავლო წლის ანგარიში;<br>• სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლის ძირითადი პრინციპებია: ემსახუროს მოსწავლეებში თავისუფალი აზროვნების განვითარებისათვის ხელშემწყობი და უსაფრთხო გარემოს შექმნას. ცოდნის წარმატებით გადატანას და გამოყენებას განსხვავებულ სიტუაციაში. სკოლა, ოჯახთან ერთად, ზრუნავს მოსწავლის უწყვეტ განვითარებასა და განათლებაზე. ძირითადი მეთოდური ორიენტირების მიხედვით აქცენტი კეთდება: მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომაზე, სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის დაცვაზე, გაღრმავებულ სწვალებაზე, მოსწავლის მოტივაციის გაზრდაზე, დისციპლინასა და მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართულობაზე.<br><br>შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის 2021 წლის 20 აგვისტოს №გ/24-1032 წერილის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2021 წლის 20 სექტემბრის MES 9 21 0000949559 წერილის მიხედვით (შემდეგში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმება) „ ... არ არის წინააღმდეგი, შპს "ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის" დირექციამ სასწავლო პროცესი წარმართოს წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის საათობრივი ბადის მიხედვით. ...“ აღნიშნული საათობრივი ბადით სკოლაში ისწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საგანი, რომლებიდანაც კვირეული საათობრივი დატვირთვა ძირითადად გაზრდილია ინგლისურ ენაში (განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე), მათემატიკასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ეროვნული სასწავლო გეგმით |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გაუთვალისწინებელ დამატებით სავალდებულო მომსახურებად შეთავაზებულია შემდეგი საგნები: ცეკვა - ქართული და უცხოური ცეკვის ელემენტებით (I-IV კლასებში - 1 საათით); ჭადრაკი (II-IV კლასებში - 1 საათით); მათემატიკა common core სტანდარტით (III-X კლასებში - 2 საათით, ხოლო XI კლასში - 1 საათით); ინგლისური ლიტერატურის ხელოვნება - English Language Arts (ELA) (III-XI კლასებში - 2 საათით, ხოლო XI კლასში - 1 საათით); მეცნიერება (VII-X კლასებში - 2 საათით); ამერიკის ისტორია (XI კლასში - 1 საათით).<br><br>ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი სავალდებულო მომსახურების საგნებიდან, მათემატიკა Common Core სტანდარტით, ინგლისური ლიტერატურის ხელოვნება - English Language Arts (ELA), მეცნიერება და ამერიკის ისტორია ისწავლება ინგლისურ ენაზე. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული ინგლისურენოვანი საგნების სწავლება 2021 წლიდან დაინერგა სკოლაში, რაც ეყრდნობა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ შემუშავებული ,,საერთო ძირითადი სტანდარტებისა“ (Common Core State Standards) და ,,მომავალი თაობის მეცნიერებათა სტანდარტებს“ (Next Generation Science Standards). დამატებით სავალდებულო საგანზე დასწრება აუცილებელია კონკრეტული კლასის ყველა მოსწავლისათვის. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით Common Core State Standards -ით სწავლება მიმდინარეობს აშშ-ს 41 შტატში, კოლუმბიის ოლქში და ამერიკის იურისდიქციის ოთხ ტერიტორიაზე. ასევე აშშ-ს თავდაცვის საგანმანათლებლო საქმიანობის დეპარტამენტი (DoDEA) აღნიშნულ სტანდარტებს მსოფლიოს მასშტაბით არსებული საკუთარი სკოლების სასწავლო გეგმის საფუძვლად იყენებს. Next Generation Science Standards - კი მეცნიერებების სწავლების ყველაზე ფართოდ გავრცელებული სტანდარტებია აშშ-ში, რომლებიც საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების ახალ, XXI საუკუნის გამოწვევებზე მორგებულ მიდგომებს ითვალისწინებს. გარდა ამისა, 2021 წელს წელს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლა გახდა ამერიკის შეერთებული შტატების მააკრედიტერებელი ორგანიზაციის „Cognia, Inc.“ North Central Association of Colleges and Schools-ის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | (სკოლებისა და უნივერსიტეტების ჩრდილოეთის და ცენტრალური შტატების ასოციაცია) აკრედიტაციის კანდიდატი სკოლა, 2022 წლის მარტში კი მიიღო სრული აკრედიტაცია ხუთწლიანი ვადით.<br><br>ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული სასკოლო საათობრივი ბადით დადგენილი საგნების შინაარსის სწავლება მიმდინარეობს გრიფირებული და ალტერნატიული სახელმძღვანლოებით. ალტერნატიული სახელმძღვანელოები გამოიყენება უცხოურ ენებში, რაც შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.<br><br>სკოლაში შექმნილ კათედრებზე გაერთიანებული მასწავლებლების მიერ შედგენილი თემატური მატრიცების შინაარსებში გამოყენებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნების საფეხურის სტანდარტების/წლიური პროგრამების ცალკეული კომპონენტები (საფეხურის შედეგები, ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკვანძო შეკითხვები, ინდიკატორები, საგნის სწავლების თემები/საკითხები), ინტერაქტიური სასწავლო აქტივობები და განხორციელების ვადები.<br><br>სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სადამრიგებლო პროგრამის აქტივობების მიზნები ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული დამრიგებლის მუშაობის წარმართვის პრინციპებზე.<br><br>დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების ინტერესების დასაკმაყოფილებლად, შექმნილია არასავალდებულო დამატებითი წრეები ჭადრაკში, ხელოვნებაში, ცეკვაში, კალათბურთში, ჩოგბურთში, ფეხბურთში, ტანვარჯიშში, კარატესა და სიმღერაში.<br><br>სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციტივით ჩამოყალიბებულია შემდეგი დასახელების კლუბები: ეკო-კლუბი, დებატ-კლუბი, წიგნის კლუბი, სასკოლო სპორტისა და ხელოვნების დეპარტამენტი, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | კომუნიკაციის დეპარტამენტი, ინტელექტუალურ-შემეცნებითი პროექტების დეპარტამენტი.<br><br>სკოლის მოსწავლეები გასაუბრებისას აღწერენ სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობას. აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესი შედარებით რთული, მაგრამ საინტერესოა და მუდმივად აქვთ საგნის მასწავლებლების მხრიდან სირთულეების გადალახვაში დახმარების იმედი.<br><br>მოსწავლეების მშობლები გასაუბრებისას ხაზგასმით აღნიშავენ საგნის სწავლების ძლიერ მხარეებს, აღწერენ მოსწავლეების მონათხრობ სხვადასხვა ინტერაქტიურ აქტივობას, ამბობენ რომ მათგან განსხვავებით მათი შვილები უფრო საინტერესოდ სწავლობენ და ნდობას უცხადებენ სკოლაში მიმდინარე სწავლა-სწავლების პროცესს.<br><br>მასწავლებლები აღწერენ სწავლებასთან დაკავშირებულ განხორციელებულ სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობასა და მათში მოსწავლეების აქტიური ჩართულობის მაგალითებს. საუბრობენ საგნისა თუ თემების სწავლების პრინციპებზე, მათ შესაბამისობაზე ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საფეხურის შედეგებსა და თუ ინდიკატორებთან.<br><br>სკოლის შენობაში ვხვდებით ზოგადსაგანმანათლებლო პროცესისასთვის დამხმარე საგანმანათლებლო რესურსებსა და მოსწავლეების ნამუშევრებს, რომელთა ნიმუშებიც იცვლება კლასის ასაკობრივი თავისებურებებისა და შინაარსის შესაბამისად. ნანახის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ე.წ. აქტიური სწავლების პრინციპებზე.<br><br>აღწერილიდან გამომდინარე, წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • „შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შესახებ“ შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის დირექტორის 2021 წლის 26 აგვისტოს N2 ბრძანება;<br>• შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის 2021 წლის 20 აგვისტოს №გ/24-1032 წერილი;<br>• საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2021 წლის 20 სექტემბრის MES 9 21 0000949559 წერილი;<br>• თემატური მატრიცები;<br>• სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრება;<br>• სკოლის მოსწავლეებთან გასაუბრება;<br>• სკოლის მოსწავლეების მშობლებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილი სწავლისა და შეფასების ძირითად პრინციპებზე, საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებისა და ძირითად მეთოდურ ორიენტირებზე დაყრდნობით შემუშავებულია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნების სწავლების თემატური მატრიცები, რომლებშიც გამოყენებული აქტივობების, მეთოდიკის, ჯგუფის ორგანიზებისა, თუ შეფასების კომპონენტები ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პრინციპებს.<br><br>მოსწავლეების შედეგების ანალიზის ფორმების შინაარსით ჩანს, რომ სკოლა აანალიზებს მოსწავლეებთან მიღწეულ შედეგს. საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის გასავითარებელ მხარეებზე მუშაობის პროცესი მიზნად ისახავს ხელი შეეწყოს მოსწავლეების აკადემიური შედეგების გაუმჯობესებას.<br><br>დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამის შინაარსი და მიზნები, ორიენტირებულია მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენაზე. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილია ინკლუზიური განათლების პრინციპები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების მოსწავლეებისათვის და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგის ფორმა. საავტორიზაციო ვიზიტის პერიოდში, სკოლაში არ ირიცხებოდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე.<br><br>სასკოლო სასწავლო გეგმით დაგეგმილი სასწავლო პროცესის ხელშესაწყობად, 2021 წლიდან სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა კეთილდღეობისა და მხარდაჭერის ცენტრი, რომლის მიზანიცაა მოსწავლეების ფსიქო-ემოციურ მდგმარეობაზე ზრუნვა, გარემო პირობებთან ადაპტაცია და საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზება.<br><br>მოსწავლეები გასაუბრებისას აღწერენ სხვადასხვა მათთვის საინტერესო ინტერაქტიულ აქტივობას. ფიქრობენ, რომ სკოლის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ შეიძლება მასწავლებლების მოსწავლეებისადმი პოზიტიური დამოკიდებულება ჩაითვალოს, რომლებიც სასწავლო პროცესისათვის მშვიდ გარემოს ქმნიან.<br><br>მშობლები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ სკოლის მასწავლებლები ცდილობენ კარგად გაიცნონ მოსწავლეები, დაუხალოვდნენ მათ, განუმარტონ საგნის სწავლის საჭიროება და კონკრეტულ შემთხვევებში ოჯახის წევრების ჩართულობით გადაჭრან ესა თუ ის პრობლემა. აღნიშნულის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მშობლები ნდობას უცხადებენ განხორციელებულ სწავლა-სწავლების პროცესს.<br><br>მასწავლებლები გახსნილად მსჯელობენ სწავლებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა პრობლემურ საკითხზე, თუმცა, აღნიშნული მიმდინარე სამუშაო პროცესად მიაჩნიათ. აღნიშნავენ, რომ ყველა მოსწავლე ინდივიდუალურია და საუბრობენ მათთან თანამშრომლობით, ეფექტური კომუნიკაციითა და მათივე შექმნილი ინტერაქტიული საგანმანანთლებლო რესურსების გამოყენებით მიღებულ შედეგებზე. აკეთებენ აქცენტებს მოსწავლეების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საჭიროებებსა და მათი გადაჭრის აუცილებლობაზე.<br><br>აღწერილიდან გამომდინარე, შესაძლებელი იქნება ისეთი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, რომელშიც მოსწავლეებს სწავლისა და განვითარების თანაბარი საშუალება ექნებათ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • „შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის დირექტორის 2021 წლის 26 აგვისტოს N2 ბრძანება;<br>• თემატური მატრიცები;<br>• სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრება;<br>• სკოლის მოსწავლეებთან გასაუბრება;<br>• სკოლის მოსწავლეების მშობლებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლის მოსწავლეები ფასდებიან ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.<br><br>სკოლა შეფასების სისტემის ერთ-ერთ ფუნქციად მოსწავლეების აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას მიიჩნევს და იყენებს შეფასების განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების ტიპებს. I-IV კლასებში და ასევე V კლასის პირველ სემესტრში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება, ხოლო V (მეორე სემესტრიდან) - XII კლასის ჩათვლით, როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება. შეფასება ხორციელდება ხუთდონიანი და ათქულიანი სისტემით საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებების კომპონენტში.<br><br>ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის შესაბამისად, სასკოლო |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
-------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა თითოეულ საგანში სემესტრების მიხედვით, გაცდენილი დავალების აღდგენის წესი.<br><br>სემესტრის განმავლობაში თითოეულ საგანში დაგეგმილი და განხორციელებულია სულ მცირე ერთი კომპექსური დავალება მაინც.<br><br>მასწავლებლები თემატური მატრიცების მიხედვით დაგეგმილ სასწავლო პროცესში მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებენ განმავითარებელ შეფასებაზე, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების გამოყენებისას ადგენენ განმსაზღვრელი შეფასების კლასების მოსწავლის ან მოსწავლეების საჭიროებას და გეგმავენ საგნობრივი სტანდარტის კონკრეტული შედეგის მიღწევაში გამოვლენილი სირთულეების დაძლევისათვის გადასადგმელ ნაბიჯებს.<br><br>საგნობრივ კათედრებში გაერთიანებულ მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ შეფასების სქემები: დისკუსიის, ექსპერიმენტის, ინფორმაციის მოძიების, პრეზენტაციის, პროექტის, რეფერატის, სხვადასხვა წერითი სამუშაოს და სხვ.<br><br>მოსწავლეები გასაუბრებისას აღწერენ შეფასების კრიტერიუმების განხილვაში მათი ჩართულობის მაგალითებს. ამბობენ რომ იციან რაში და როგორ ფასდებიან.<br><br>მოსწავლეების მშობლები აღნიშნავენ, რომ ბავშვებს იშვიათად აქვთ შეფასებასთან დაკავშირებული კომენტარები და როცა აქვთ, მასწავლებლებთან შედეგების განხილვის შესაძლებლობა ეძლევათ.<br><br>მასწავლებლები კი აღნიშნავენ მოსწავლისათვის განმავითარებელი შეფასების მიცემის მნიშვნელობასა და მის გავლენაზე მოტივაციის ზრდის მიმართულებით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • „შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დირექტორის 2021 წლის 26 აგვისტოს N2 ბრძანება;<br>• თემატური მატრიცები;<br>• მასწავლებლების ელექტრონული პორტფოლიოები;<br>• სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრება;<br>• სკოლის მოსწავლეებთან გასაუბრება;<br>• სკოლის მოსწავლეების მშობლებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მშობლის ინფორმირების წესი, რომლის მიხედვითაც მშობელს შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია შეუძლია მიიღოს ელექტრონული ჟურნალის schoolbook-ის გამოყენებით. ყოველი სასწავლო კვირის პარასკევი დღე გამოყოფილია მშობლებთან კომუნიკაციისთვის, რა დროსაც შესაძლებელია მასწავლებელთან პირადი შეხვედრა სკოლაში ვიზიტით ან დისტანციური ჩართვით. კლასის დამრიგებლებს ვალდებულება აქვთ მშობელს მოსწავლის საჭიროების შესაბამისად მიაწოდოს დამატებითი ინფორმაცია.<br><br>სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ სასკოლო საზოგადოების წევრებს ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა ეძლევათ სკოლის ვებ გვერდის ან სოციალური ქსელის საშუალებით. ვებ გვერდსა და სოციალურ ქსელზე განთავსებულია სასკოლო ცხოვრების ამსახველი სხვადასხვა ტექსტობრივი, ფოტო და ვიდეო მასალა.<br><br>„შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის დირექტორის 2020 წლის 30 აგვისტოს N2 ბრძანებით (შემდეგში შინაგანაწესი) დამტკიცებული შინაგანაწესის მე-13 მუხლში განსაზღვრულია მოსწავლის მშობლის უფლება-მოვალეობები, რომლის მიხედვითაც მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის უფლება ეძლევა, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
